ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4566272

ნომერი: AR1689322

თარიღი : 21.06.2019

გაცემის თარიღი : 28.06.2019

გაცნობის თარიღი : 29.06.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგების სატყეო უბანი. , (ნაკვ. 11/16) ; ქალაქი თბილისი , წყნეთის სატყეო უბანი. , (ნაკვ.11/20);

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ქორქაძე პ/ნ 01024004051
- ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ.#5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 იანვრის №4345401 ბრძანებაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 21

ივნისის NAR1689322 განცხადებით მომართა გიორგი ქორქაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 იანვრის №4345401 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3457393 ბრძანებით ქალაქი თბილისი, ბაგების სატყეო უბანი. (ნაკვ. 11/16), N01.14.08.011.016 მიწის ნაკვეთზე დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2018 წლის 22 ნოემბრის №4275846 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2017 წლის 15 აგვისტოს №3457393 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი. ასევე, დაფიქსირდა ახალი საკადასტრო კოდი: N01.14.08.011.176.
სამსახურის 2019 წლის 08 იანვრის №4328933 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ბაგების სატყეო უბანი (ნაკვ. 11/16); ქ. თბილისი, წყნეთის სატყეო უბანი, (ნაკვ. 11/20), ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა "ჯი ქეი" ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.14.08.011.176), ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო 2019 წლის 22 იანვრის №4345401 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 22 იანვრიდან 2020 წლის 22ივლისის ჩათვლით.
საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად N01.14.08.011.176 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გაყოფის შედეგად წარმოიშვა N01.14.08.011.182 და N01.14.08.011.183 მიწის ნაკვეთები, ხოლო მათი კვლავ გაერთიანების შედეგად - N01.14.08.011.186 საკადასტრო ერთეული.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2019 წლის 22 იანვრის №4345401 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და საკადასტრო კოდად N01.14.08.011.176-ის ნაცვლად N01.14.08.011.186-ის დაფიქსირება.
საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის შესწავლის შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია. აქედან გამომდინარე, საჭიროა სამსახურის 2019 წლის 08 იანვრის №4328933 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილება (კორექტირება) და აღნიშნული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე ახალი მშენებლობის ნებართვის აღება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, რაც საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირება) და ახალი მშენებლობის ნებართვის აღებას, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2019 წლის 22 იანვრის №4345401 ბრძანებაში საკადასტრო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.